

ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ

Lingens v Austria

(1986 წლის 8 ივნისი, სერია A, #103 A, ამონარიდები)

ფაქტები

8. ბ-ნი ლინგენსი, დაბადებული 1931 წელს, მცხოვრები ქ. ვენაში, ჟურნალისტი, ჟურნალ "პროფილის" რედაქტორი.

I. განმცხადებლის სტატიები და მათი წინაისტორია (ბაცკგროუნდ)

9. 1975 წლის 9 ოქტომბერს, ავსტრიაში საყოველთაო არჩევნების ჩატარებიდან ოთხი დღის შემდეგ, სატელევიზიო ინტერვიუში ებრაელთა სადოკუმენტაციო ცენტრის პრეზიდენტმა, საიმონ ვიეზენტალმა ბრალი დასდო ავსტრიის ლიბერალური პარტიის თავმჯდომარეს, ფრედერიკ პეტერს, იმაში, რომ ეს უკანასკნელი მეორე მსოფლიო ომის დროს შშ-ის პირველ სახმელეთო ბრიგადაში მსახურობდა. ცნობილია რუსეთის ტერიტორიაზე გერმანელთა საბრძოლო ხაზის ზურგში ამ ბრიგადის მიერ მოქალაქეთა წამების არაერთი ფაქტი. ბ-ნ პეტერს არ უარუყვია აღნიშნული დანაყოფის წევრობა, თუმცა აღნიშნა, რომ ის ბრიგადის მიერ ჩადენილ სისასტიკეში არ მონაწილეობდა. ბ-ნმა ვიეზენტალმა, ამასთან დაკავშირებით, მოგვიანებით განაცხადა, რომ მას ბ-ნი პეტერისათვის ბრალი არ დაუდია ამგვარ მოქმედებაში.

10. მომდევნო დღეს ავსტრიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ კანცლერს, ბრუნო კრეისკის, აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით, კომენტარის გაკეთება სთხოვეს. ინტერვიუს დამთავრებისთანავე ის ფედერალურ კანცელარიაში შეხვდა პეტერს. ეს იყო ერთ-ერთი ჩვეულებრივი საკონსულტაციო შეხვედრა პარტიის ლიდერებს შორის ახალი მთავრობის ფორმირების მიზნით; ამ შეხვედრამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან კრეისკი-პეტერის კოალიციური მთავრობის შექმნის შესაძლებლობა ჯერ კიდევ 5 ოქტომბრის არჩევნებამდე განიხილებოდა. თავის ინტერვიუში კრეისკიმ უარყო ასეთი კოალიციის შექმნის აუცილებლობა არჩევნებში მისი პარტიის მიერ ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მიღების გამო, თუმცა ენერგიულად დაიცვა პეტერი და ვიეზენტალის ორგანიზაციას - "პოლიტიკური მაფია", ხოლო მისი საქმიანობის მეთოდებს "მაფიური მეთოდები" უწოდა. აღნიშნული ფრაზა განმეორდა მის მიერ ვენის ყოველდღიური გაზეთისადმი მეორე დღეს მიცემულ ინტერვიუში.

11. სწორედ ამ დროს დაიბეჭდა ვენის ჟურნალ "პროფილში" ლინგენსის ორი სტატია.

12. პირველი მათგანი, რომელიც გამოქვეყნდა 1975 წლის 14 ოქტომბერს სათაურით "პეტერის საქმე", შეეხებოდა შშ-ს პირველი სახმელეთო ბრიგადის საქმიანობას; სტატიაში მკითხველის ყურადღება გამახვილებული იყო აგრეთვე პეტერის როლზე გრაცში ამ ბრიგადის წევრთა წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში (რომელიც შემდეგ დაიხურა). დასკვნის სახით ნათქვამი იყო, რომ, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისაზე ბ-ნ პეტერის უფლებისა, მისი წარსული ამ პიროვნებას ავსტრიისათვის მიუღებელ პოლიტიკურ ფიგურად ხდიდა. სტატიაში ბ-ნ კრეისკის ქცევა შეფასებული იყო როგორც პოლიტიკური მოსაზრებებით პეტერისა და შშ-ს სხვა ყოფილი წევრების დაცვა. რაც შეეხება კრეისკის კრიტიკულ გამოთქმებს ვიეზენტალისადმი, ჟურნალისტი წერდა: "ნებისმიერი პირის მიერ გამოხატული ასეთი პოზიცია, ალბათ, "უღრმეს ოპორტუნიზმად შეფასდებოდა", მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში საქმე გაცილებით უფრო რთულად დგას, რადგან კრეისკი დარწმუნებულია თავისი ნათქვამის სიმართლეშიო.

13. მეორე სტატია გამოქვეყნდა 1975 წლის 21 ოქტომბერს სათაურით "შერიგება ნაცისტებთან, მაგრამ როგორ?". ის შედგებოდა რამდენიმე გვერდისაგან და, შესავალი ნაწილის გარდა, დაყოფილი იყო ექვს სექციად: "აქამდე" ან "უკვე", "ჩვენ ყველანი უდანაშაულოები ვართ", "აუცილებელი იყო უდანაშაულო მსხვერპლი?", "რატომ არის ეს დღემდე დისკუსიის საგანი?", "ჰელბახი და პეტერი" და "პოლიტიკურად პრიმიტიული".

14. შესავალში ბ-ნმა ლინგენსმა მოიხმო ფაქტები და ხაზი გაუსვა ბ-ნ კრეისკის პოზიციის გავლენას საზოგადოებრივ აზრზე. მან კრეისკი გააკრიტიკა არა მხოლოდ პეტერის მხარდაჭერისათვის, არამედ ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსული ყოფილი ნაცისტების მიმართ შემგუებლური დამოკიდებულებისათვის.

15. "აქამდე" ან "უკვე" სათაურის მქონე ნაწილში განმცხადებელი აღიარებდა, რომ არავის შეუძლია შეეწინააღმდეგოს ასეთ დამოკიდებულებას "რეალური პოლიტიკის" საფუძველზე, რადგან " გავიდა ის დრო, როცა საარჩევნო მიზნებისათვის ვინმეს ანგარიში უნდა გაეწია არა მხოლოდ ნაცისტების, არამედ მათი მსხვერპლისათვის... პირველი მეორეზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა . . . " ავსტრიამ, რომელმაც დაბადა ჰიტლერი, ეიჰმანი და სხვა სამხედრო დამნაშავეები, ვერ შეძლო წარმატებული შეთანხმება დაედო თავის წარსულთან; მან უბრალოდ იგნორირება გაუკეთა მას. ასეთი პოლიტიკა კი ქვეყანას

მომავალი ფაშისტური მოძრაობის ხელებში გადასვლის საფრთხეს უქმნიდა. კანცლერთან დაკავშირებით, ლინგენსი წერდა: "მართალი რომ ვთქვათ, ბ-ნ კრეისკის ქცევა კრიტიკის ობიექტად შეიძლება იქცეს არა რაციონალური, არამედ მხოლოდ ირაციონალური თვალსაზრისით: ის ამორალურია და უღირსი". მეტიც, ასეთი ქცევა სრულიად უსარგებლოა, რადგან ავსტრიელებს ყოფილი ნაცისტების კეთილგანწყობის მიების, საკონცენტრაციო ბანაკების პრობლემის მინიმუმამდე დაყვანისა და ვიეზენტალისადმი მტრული დამოკიდებულებით ანტისემიტიზმის გაღვივების გარეშეც შეუძლიათ საკუთარ წარსულთან შერიგება. მაგრამ ყველაზე საოცარი არის არა ის, რომ 30 წლის შემდეგ ვიღაც "კიდევ" საუბრობს აღნიშნულ თემაზე, არამედ ის, რომ ადამიანებმა "უკვე" შეძლეს გვამების მთების არსებობის დავიწყებაო. დასასრულ, ლინგენსი კრეისკის ბრალს სდებდა იმ ადამიანებისადმი გამოვლენილ უტაქტობაში, რომლებიც ნაცისტების სისასტიკეს ემსხვერპლნენ.

16. მეორე ნაწილში ლინგენსმა კომენტარი გაუკეთა, ზოგადად, ავსტრიის საზოგადოების დამოკიდებულებას ნაცისტური დანაშაულებისა და ყოფილი ნაცისტების მიმართ. ავტორის აზრით, კოლექტიური დანაშაულისა და კოლექტიური უდანაშაულობის ფილოსოფიური ალტერნატივის წინ წამოწევით ავსტრიელებმა მიჩქმალეს რეალური, ცალსახა და შეფასებადი დანაშაული. პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმების ხანგრძლივი ანალიზის შემდეგ ლინგენსმა ხაზი გაუსვა იმ დროში კარგისა და ცუდის გარჩევის შესაძლებლობას და მოიყვანა რამდენიმე პიროვნების მაგალითი, რომელთაც უარი თქვეს ნაცისტებთან თანამშრომლობაზე. მეორე ნაწილის დასასრულ, იგი აღნიშნავდა: "ბრუნო კრეისკის თავისი პირადი ავტორიტეტი იმ გზით, როგორც მან პეტერი დაიცვა, სხვა, უკეთესი ავსტრიის აღმოსაჩენად რომ გამოეყენებინა, ის ქვეყანას მისცემდა წარსულთან შერიგების შესაძლებლობას, რაც ავსტრიას - 30 წლის შემდეგ - ყველაზე მეტად სჭირდება და რაც, თავისთავად, დიდი სიმამაცე იქნებოდა".

17. სტატიის მესამე და მეოთხე ნაწილები (რაც მთლიანად სტატიის ერთ-მესამედს შეადგენს) ასევე ეხებოდა საზოგადოების ცნობიერებაში კოლექტიური დანაშაულის მომენტის გადალახვას და რეალური დანაშაულის, როგორც ასეთის, აღიარებას.

"აუცილებელი იყო უდანაშაულო მსხვერპლი?" ამ სათაურის მქონე ნაწილში ლინგენსმა ყურადღება მიაქცია განსხვავებას მესამე რაიხის სპეციალურ დანაყოფებსა და რეგულარულ სამხედრო შენაერთებს შორის და აღნიშნა, რომ სპეციალურ დანაყოფებში გაწევრიანება ხდებოდა მხოლოდ მოხალისეობის და არა იძულების საფუძველზე. მომდევნო ნაწილში ლინგენსმა სცადა

განესხვავებინა სისხლის სამართლის დამნაშავეები და ის პირები, რომლებიც, მორალური თვალსაზრისით, განიხილებოდნენ მათ თანამონაწილეებად; ის აღნიშნავდა, რომ ნაცისტების მიმართ თავისი პოზიციის უფრო ადრე, სწრაფად და საფუძვლიანად გამოხატვის შემთხვევაში ავსტრია შეძლებდა, კომპლექსების გარეშე, მშვიდად და მეტი თვითდაჯერებით შეეხედა საკუთარი წარსულისათვის. ლინგენსმა დაასახელა მიზეზები, რის გამოც ეს შეუძლებელი გახდა და დაიცვა ბ-ნ ვიეზენტალი "მაფიისადმი" კუთვნილების ბრალდებისაგან. დასასრულ, მან განიხილა შემწყნარებლობის გამოჩენის შესაძლებლობა ამდენი წლის შემდეგ და დაასკვნა: "ნებისმიერი საზოგადოება ვალდებულია გამოხატოს კანონისადმი პატივისცემა და არ შეინარჩუნოს არაჯანსაღი დამოკიდებულება მის მიმართ ნამდვილი მკვლელების გამართლებით, თვალსაჩინო დანაშაულის დაფარვითა და უარყოფით".

18. მეხუთე ნაწილში ლინგენსმა შეადარა პეტერის საქმე ავსტრიის სახალხო პარტიის ლიდერის, ჰელბახის, საქმეს და შენიშნა კრეისკის განსხვავებული რეაქცია, თითოეულ მათგანთან დაკავშირებით. ავტორი იცავდა აზრს, რომ პირველი საქმის გარემოებები პეტერს პოლიტიკოსობისათვის, პარლამენტისა და მთავრობის წევრობისათვის შეუფერებელს ხდიდა და ასკვნიდა, რომ: "ეს არის პოლიტიკური ეთიკის მინიმალური მოთხოვნა". მისი აზრით, "სიმახინჯის" გამოვლინება იყო არა ვიეზენტალის მიერ ამ საქმის წამოწევა, არამედ კრეისკის მცდელობა მისი მიჩქმალვისა.

19. სტატია მთავრდებოდა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის კრიტიკით, რომელთა სათავეშიც ყოფილი ნაცისტები აღმოჩნდნენ. განმცხადებელს მიაჩნდა, რომ პეტერი უნდა გადამდგარიყო და ამით თავისი დანაშაული კი არ ელიარებინა, არამედ დაემტკიცებინა, რომ გააჩნია ბ-ნ კრეისკისათვის უცხო თვისება - ტაქტი.

II - კრეისკის საჩივრის საფუძველზე აღძრული კერძო ბრალდების საქმე

20. 1975 წლის 29 ოქტომბერსა და 12 ნოემბერს მაშინდელმა კანცლერმა ლინგენსის წინააღმდეგ ორი კერძო ბრალდების საქმე აღძრა. კანცლერს მიაჩნდა, რომ ლინგენსის სტატიებში არსებული განსაზღვრული გამონათქვამები, რომლებიც ზემოთ იქნა მოყვანილი, დეფამაციურ ხასიათს ატარებდა და არღვევდა ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლს, რომლის თანახმადაც:

"1. ნებისმიერი პირი, რომელიც მესამე პირს ბრალს სდებს მისი თანამდებობრივი მდგომარეობისათვის შეუფერებელი ფორმით ან დამოკიდებულებით, პატივისა და ღირსების საწინააღმდეგო მოქმედებით ან

ისეთი ფორმით, რომელიც შეურაცხყოფს ან ამცირებს მას საზოგადოების წინაშე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს ექვსი თვისა ან ჯარიმით.

2. ნებისმიერი პირი, რომელიც ჩაიდენს ასეთ ქმედებას წერილობითი დოკუმენტის ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ისე, რომ დეფამაციური ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოების ფართო ფენებისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს ერთი წლისა ან ჯარიმით.

3. განმცხადებელი არ დაისჯება, თუ დამტკიცდება მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება. პირველი პარაგრაფით განსაზღვრული სამართალდარღვევისას პირი არ დაისჯება, თუ შექმნილი გარემოებები მას საკმარის საფუძველს აძლევდა დარწმუნებული ყოფილიყო აღნიშნული ინფორმაციის სიმართლეში”.

112-ე მუხლის თანახმად, "მტკიცებულება ჭეშმარიტებისა და კეთილი ნების შესახებ არ მიიღება, სანამ განმცხადებელი პირი სასამართლოს წინაშე არ დაამტკიცებს თავისი განცხადების სიმართლეს და თავის კეთილ ნებას . . ."

A. სასამართლო განხილვათა პირველი წყება

1. ვენის რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება

21. 1979 წლის 26 მარტს ვენის რეგიონალურმა სასამართლომ ლინგენსი დამნაშავედ ცნო ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით (მე-2 პარაგრაფი) – ცილისწამება და შეურაცხყოფა, შემდეგი გამონათქვამებისათვის: "ულრმესი ოპორტუნიზმი", "ამორალური", "უღირსი". თუმცა მიიჩნია, რომ რამდენიმე სხვა ფრაზა (კერძოდ, "პოლიტიკური ეთიკის მინიმალური მოთხოვნა", "სიმახინჯე"), კონტექსტიდან გამომდინარე, ასეთ ხასიათს არ ატარებდა. სასამართლომ ლინგენსი დააჯარიმა 20.000 შილინგით, მიიჩნია რა შემამსუბუქებელ გარემოებად ის ფაქტი, რომ ბრალდებული მიზნად ისახავდა გამოეხატა პოლიტიკური კრიტიციზმი პოლიტიკოსის მიმართ პოლიტიკურ საკითხზე, ხოლო პოლიტიკოსს მართებს დეფამაციისადმი უფრო მეტი შემწყნარებლობის გამოჩენა. მხედველობაში მიიღო რა ბრალდებულის კეთილი ნება, სასამართლომ მას კრეისკისათვის ზიანის ანაზღაურება არ დააკისრა. სასამართლოს გადაწყვეტილება ითვალისწინებდა მხოლოდ გასაჩივრებული სტატიების კონფისკაციასა და აღნიშნული გადაწყვეტილების გამოქვეყნებას.

22. გადაწყვეტილებაში, რომელიც შეიცავდა მიზეზების გრძელ ჩამონათვალს, რეგიონალურმა სასამართლომ გააანალიზა თითოეული გასაჩივრებული გამონათქვამის ხასიათი და მიიჩნია, რომ გამონათქვამები "ულრმესი

ოპორტუნიზმი", "ამორალური" და "უღირსი" წარმოადგენდა დეფამაციას და პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიმართული იყო კრეისკის პიროვნების წინააღმდეგ, მაშინ, როცა ფრაზები - "პოლიტიკური ეთიკის მინიმალური მოთხოვნა" და "სიმახინჯე", არ სცილდებოდა პოლიტიკური კრიტიციზმის მისაღებ საზღვრებს.

ლინგენსის აზრით, პირველი სამი გამონათქვამი წარმოადგენდა შეფასებას და, როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლს. თუმცა რეგიონალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მაშინდელი კანცლერის ქმედებასთან დაკავშირებით გაკეთებული შეუფერებელი დასკვნები სწორედ ამ მუხლის დებულებების მოქმედების სფეროში ექცეოდა. ბრალდებულს ასევე არ შეეძლო დაყრდნობოდა გამოხატვის თავისუფლებას, რადგან კონსტიტუციის შესაბამისი დებულებებისა და ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ეს უფლება შეზღუდვას ექვემდებარებოდა, კერძოდ, საჭირო იყო ბალანსის დაცვა ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებას შორის - პატივს სცემდნენ და იცავდნენ მის პირად ცხოვრებასა და რეპუტაციას. მოცემულ შემთხვევაში ლინგენსი გასცდა დასაშვებობის ფარგლებს.

23. კრეისკის მიერ კერძო ბრალდების საქმის აღძვრასთან დაკავშირებით, რეგიონალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, რამდენადაც ის გაკრიტიკებული იყო არა როგორც ფედერალური კანცლერი, არამედ როგორც პარტიის ლიდერი და პოლიტიკოსი, ამიტომ აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი არ იქნა გამოყენებული: ეს მუხლი ეხება თანამდებობის პირის მიმართ დეფამაციას, რომელიც წარმოადგენს საჯარო ბრალდების საქმეს.

24. რეგიონალურმა სასამართლომ შემდეგ განიხილა ჭეშმარიტების მტკიცების საკითხი (იხ. §20). მან მიიჩნია, რომ, რამდენადაც ლინგენსმა ვერ წარმოადგინა ფრაზის - "უღრმესი ოპორტუნიზმი", გამამართლებელი მტკიცებულება, ეს საკმარისი იყო მისი დამნაშავედ ცნობისათვის. რაც შეეხება სიტყვებს - "ამორალური" და "უღირსი", ბრალდებულმა ისინი გამოიყენა კრეისკის პოზიციასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატებოდა ნაცისტების სისასტიკისათვის მცირე მნიშვნელობის მინიჭებით, ვიეზენტალის მოღვაწეობის მაფიურ საქმიანობად შერაცხვით და გესტაპოსთან მის თანამშრომლობაზე მინიშნებით. ამ უკანასკნელ საკითხზე რეგიონალურმა სასამართლომ მიიღო ლინგენსის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება სასამართლო გადაწყვეტილების ფორმით, მიიჩნია რა ჟურნალისტი დამნაშავედ დეფამაციის მუხლით მსგავსი განცხადების გაკეთებისათვის. რაც შეეხება

გამონათქვამებს - "მაფიური მეთოდები" და "მაფია", რეგიონალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს გამონათქვამები, ჩვეულებრივ, გულისხმობს დამნაშავეთა ორგანიზებულ ერთეულს, მაგრამ ზოგჯერ გამოიყენება სხვა მნიშვნელობითაც. მაშინაც კი, თუ მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული კერძო ბრალმდებლის მიერ წინ წამოწეული არგუმენტი, ამ სიტყვის კრეისკისეული გაგება შეიძლება ყოფილიყო განსხვავებული და იმსახურებდა გამოკვლევას. საკუთარი მოსაზრების ჭეშმარიტების მტკიცება იყო არა პროკურორის, არამედ ლინგენსის მოვალეობა. ვიეზენტალმა, თავის მხრივ, აღიარა, რომ თავისი მრავალფეროვანი მიზნების მიღწევისათვის ის ეყრდნობოდა მრავალი განშტოების მქონე ორგანიზაციას. მეტიც, მაშინდელი კანცლერის განცხადებები (იხ. \$10) უნდა განიხილებოდეს პოლიტიკურ ოპონენტებს შორის პოლიტიკური ბრძოლის კონტექსტში, სადაც თითოეული იყენებს იმ იარაღს, რომელიც მის განკარგულებაშია. ამ კუთხით თუ შევხედავთ, ეს განცხადებები არ გამოხატავდა ღირსებისა და ზნეობის უქონლობას, არამედ წარმოადგენდა დაცვის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სრულიად არ არის უჩვეულო პოლიტიკის მკაცრ წესებში.

2. სააპელაციო საჩივარი ვენის სააპელაციო სასამართლოში

25. გამოტანილი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ვენის სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი შეიტანა როგორც კრეისკიმ, ისე ლინგენსმა. 1979 წლის 30 ნოემბერს სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა საქმის გარემოებების განხილვის გარეშე იმ საფუძველით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა კანცლერს კერძო ბრალდების საქმის აღძვრის უფლება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის დებულებებისაგან განსხვავებით, სათანადოდ არ იყო დასაბუთებული (იხ. \$23)

B. სასამართლო განხილვათა II წყება

I. ვენის რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება

26. ვენის რეგიონალურმა სასამართლომ, რომელსაც სააპელაციო სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა, 1981 წლის 1 აპრილს გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება. მაშინდელი კანცლერის განცხადებებთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევის შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ იგი გაკრიტიკებული იყო არა როგორც თანამდებობის პირი, არამედ როგორც პარტიის ლიდერი და კერძო პიროვნება, რომელმაც თავის თავზე აიღო მესამე პირის დაცვა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მას ჰქონდა კერძო ბრალდების საქმის აღძვრის მოთხოვნის უფლება.

რაც შეეხება იმ მოქმედებების იურიდიულ კვალიფიცირებას, რომლებიც ბრალად ედებოდა ლინგენსს, სასამართლომ დაადასტურა თავისი 1979 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით.

გამამართლებელ გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლომ ხელახლა აღნიშნა, რომ ბრალდებულს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა გამონათქვამის - "ულრმესი ოპორტუნიზმი", საფუძვლიანობას; ხოლო გამონათქვამები - "ამორალური" და "უღირსი", ლინგენსის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, უკავშირდებოდა მხოლოდ განცხადებას ვიეზენტალის ნაცისტებთან თანამშრომლობის შესახებ, რომელიც კრეისკიმ გააკეთა მხოლოდ ლინგენსის სტატიების გამოსვლის შემდეგ. რამდენადაც აღნიშნული გამონათქვამები მიმართული იყო კანცლერის სხვა მოქმედებებისა და პოზიციისადმი, რეგიონალურმა სასამართლომ თავისი პირველი გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ლინგენსის კრიტიკა ბევრად სცილდებოდა იმ საკითხს, რომელმაც წარმოშვა დავა კრეისკისა და ვიეზენტალს შორის. ის ფაქტი, რომ კრეისკის შესაძლებლობა ჰქონდა მიემართა სასამართლოსთვის კერძო ბრალდების საჩივრით, მაგრამ თვითონ ვერ გახდებოდა ვიეზენტალის მხრიდან ასეთი საჩივრის ობიექტი მის მიმართ ცილისწამებისათვის, გამოწვეული იყო საპარლამენტო იმუნიტეტის შესახებ მოქმედი კანონმდებლობით. საკუთარი განცხადებების ჭეშმარიტების მტკიცების მოვალეობა ასევე კანონით იყო გათვალისწინებული და ამ პროცესის გამარტივება არა სასამართლოს, არამედ კანონმდებლის მოვალეობებში შედიოდა.

ამიტომ სასამართლომ თავისი ახალი გადაწყვეტილებით პირველად დადგენილი სასჯელის სახე უცვლელად დატოვა (იხ. \$21).

II. სააპელაციო საჩივარი ვენის სააპელაციო სასამართლოში

27. ორივე მხარემ სასამართლოს გადაწყვეტილება ხელახლა გაასაჩივრა ვენის სააპელაციო სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 1981 წლის 29 ოქტომბერს. მან შეამცირა ჯარიმის ოდენობა 15.000 შილინგამდე, მაგრამ დაადასტურა რეგიონალური სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა დანარჩენ საკითხთან დაკავშირებით. კრეისკი ედავებოდა პირადი და პოლიტიკური ცხოვრების მიმართ სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენების აზრს. ის აცხადებდა, რომ პოლიტიკოსთა და კერძო პირთა რეპუტაციის დაცვა უნდა ხდებოდეს თანაბრად. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლი ეხება პატივისცემას, რომლითაც სარგებლობს ადამიანი მის სოციალურ გარემოში. პოლიტიკოსთა შემთხვევაში ეს არის საზოგადოებრივი აზრი, თუმცა გამოცდილებამ დაგვანახა,

რომ პოლიტიკურ დისკუსიებში შეურაცხყოფელი გამონათქვამების ხშირმა გამოყენებამ (რომელიც იმალება საპარლამენტო იმუნიტეტის უკან) კერძო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ასეთი განცხადებების მიმართ სხვადასხვა კრიტერიუმებით მიდგომის შთაბეჭდილება შექმნა. ამიტომ პოლიტიკოსებს მოეთხოვებათ უფრო მეტი შემწყნარებლობის გამოჩენა. როგორც წესი, პოლიტიკური დავის დროს გამოთქმული კრიტიციზმი ზიანს არ აყენებს პიროვნების რეპუტაციას, სანამ იგი მის კერძო ცხოვრებას არ შეეხება. მოცემულ შემთხვევაში, ასეთად არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო გამონათქვამები - "პოლიტიკური ეთიკის მინიმალური მოთხოვნა" და "სიმახინჯე". ამიტომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა კრეისკის საჩივარი.

29. სააპელაციო სასამართლო შემდეგ მიუბრუნდა ლინგენსის საჩივრის საფუძვლებს და, უპირველეს ყოვლისა, გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულება, რათა დაედგინა, თუ რა კუთხით იყო გაკრიტიკებული კრეისკი ჟურნალისტის მიერ. სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, მიიჩნია, რომ ლინგენსის კრიტიკა მიმართული იყო კრეისკის, როგორც პარტიის ლიდერისა და კერძო პირის, მიმართ. გამოთქმა - "უღრმესი ოპორტუნიზმი", გულისხმობს, რომ პირი, რომელსაც ეს ფრაზა ეხება, მოქმედებდა სპეციალური მიზნითა და მორალური პრინციპების სრული იგნორირებით. ასეთმა შეფასებამ, თავისთავად, კრეისკის რეპუტაციას დიდი დარტყმა მიაყენა. აღნიშნულ წინადადებაში ფრაზა - "ეს რომ ვინმე სხვას ჩაედინა", არ ცვლიდა მის ძირითად შინაარსს, ხოლო ბრალდებულმა ასეთი შეფასების საფუძვლიანობა ვერ დაამტკიცა. ამიტომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება ჰქონდა იგი დამნაშავედ ეცნო. ლინგენსის თანახმად, გამონათქვამები - "ამორალური" და "უღირსი", იყო კრეისკის ქცევის მისეული შეფასება, რომელიც არ ყოფილა სადავო, შეფასება, რომელიც გაკეთდა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებული გამოხატვის თავისუფლების გამოყენებით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მისი მოსაზრება; მან აღნიშნა, რომ ავსტრიის სამართალი არ ანიჭებს პიროვნებას საკუთარი შეფასებების ფორმულირების განუსაზღვრელ უფლებას და თვით კონვენციის მე-10 მუხლითაც დაშვებულია ამ უფლების კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები სხვათა რეპუტაციის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. მეტიც, პრესის ამოცანაა ინფორმაციის მიწოდება, ხოლო მისი ინტერპრეტაციის (გაანალიზების) უფლება რჩება მკითხველს. თუ ჟურნალისტი თავის შეხედულებას მაინც გამოხატავს, ეს უნდა ხდებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ საზღვრებში, რომლებიც დაწესებულია ადამიანების რეპუტაციის დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში ამას ადგილი არ ჰქონია. თავისი განცხადების ჭეშმარიტების მტკიცების

ტვირთი დაეკისრა ლინგენსს; მას არ შეეძლო განეცალკევებინა თავისი შეფასება ფაქტებისაგან, რომლებსაც ის ეფუძნებოდა. რამდენადაც კრეისკი პირადად დარწმუნებული იყო, რომ ვიეზენტალი "მაფიურ მეთოდებს" იყენებდა, მას ბრალად ვერ დაედებოდა ამორალური ან უღირსი ფორმით მოქმედება.

30. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა "პროფილში" 1982 წლის 22 თებერვალს, ლინგენსისა და მისი გამომცემლის მიმართ დაწესებული სასჯელის შესაბამისად. საქმის აღძვრა კომისიაში

31. კომისიისადმი მიმართულ 1982 წლის 19 აპრილის განცხადებაში (# 9815/82) ლინგენსმა გაასაჩივრა პრესის საშუალებით დეფამაციისათვის მისი გასამართლების ფაქტი (ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი).

32. კომისიამ 1983 წლის 5 ოქტომბერს გამოიტანა გადაწყვეტილება განცხადების მისაღებობის შესახებ. 1984 წლის 11 ოქტომბრის ანგარიშში კომისიამ გამოხატა ერთსულოვანი დასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას. კომისიის დასკვნის სრული ტექსტი, დანართის სახით, თან ახლავს წინამდებარე სასამართლო გადაწყვეტილებას. საქმის საბოლოო განხილვა სასამართლოში

33. 1985 წლის 25 ნოემბერს გამართულ მოსმენაზე მთავრობა ითხოვდა სასამართლოსაგან "მხედველობაში მიეღო, რომ მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის დებულებათა დარღვევას", ხოლო განმცხადებელი ითხოვდა საქმის გადაწყვეტას მის სასარგებლოდ. სამართლებრივი მხარე

I. მე-10 მუხლის უხეში დარღვევა

34. კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით,

"..." თავის საჩივარში ლინგენსი აღნიშნავდა, რომ გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებებით მისი გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი პრინციპებისათვის შეუსაბამო დონით დაირღვა. ანალოგიური იყო კომისიის დასკვნაც. თუმცა მთავრობას, თავის მხრივ, მიაჩნდა, რომ სადავო სასჯელი აუცილებლობას წარმოადგენდა კრეისკის რეპუტაციის დასაცავად.

35. სადავოდ არ ქცეულა ის ფაქტი, რომ ადგილი ჰქონდა "საჯარო ხელისუფლების ჩარევას" განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების განხორციელების პროცესში, რაც დასრულდა ვენის რეგიონალური სასამართლოს მიერ 1981 წლის 1 აპრილს დეფამაციისათვის განმცხადებლის

გასამართლებით, რომელსაც მხარი დაუჭირა ვენის სააპელაციო სასამართლომ 1981 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (იხ. §§26, 27).

ასეთი ჩარევა ეწინააღმდეგება კონვენციას, თუ ის არ აკმაყოფილებს მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის მოთხოვნებს. ამიტომ უნდა განისაზღვროს, იყო თუ არა ასეთი ჩარევა "კანონით გათვალისწინებული", ჰქონდა თუ არა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფით განსაზღვრული მიზანი ან მიზნები და იყო თუ არა "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" ამ მიზნის ან მიზნების განხორციელებისათვის (როგორც უახლესი პრეცედენტი იხ. ბარტოლდის საქმე, 1985 წლის 25 მარტი, სერია A, #90, გვ. 21, \$43).

36. პირველ ორ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო დაეთანხმა კომისიასა და მთავრობას, რომ სასამართლო განხილვა ეფუძნებოდა ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლს (იხ. \$21); მეტიც, მისი მიზანი იყო "სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა" და არ არსებობს მიზეზი ვიფიქროთ, რომ მას რაიმე სხვა დანიშნულება ჰქონდა (იხ. კონვენციის მე-18 მუხლი). სასამართლო განხილვა იყო "კანონით გათვალისწინებული" და კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი.

37. კომისიის, მთავრობისა და განმცხადებლის არგუმენტები კონცენტრირებული იყო საკითხზე, იყო თუ არა ჩარევა "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში" ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად. განმცხადებელმა ხაზი გაუსვა პლურალისტურ საზოგადოებაში მისი, როგორც პოლიტიკური ჟურნალისტის, როლს; მან, როგორც ასეთმა, თავის მოვალეობად ჩათვალა გამოეთქვა შეხედულება ვიეზენტალისადმი მიმართულ კრეისკისეულ შეფასებებთან დაკავშირებით (იხ. \$ 10). მან ასევე მიიჩნია - და ეს აზრი კომისიამაც გაიზიარა, - რომ პოლიტიკოსი, რომელსაც, თავის მხრივ, ჩვევად აქვს ოპონენტებზე თავდასხმა, უფრო დაუნდობელ კრიტიციზმს უნდა მოელოდეს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ადამიანი. მთავრობის აზრით, გამოხატვის თავისუფლებას ხელი არ უნდა შეეშალა ეროვნული სასამართლოებისათვის გამოეყენებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა და მიეღოთ გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებაც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიტიკური დებატები პირად შეურაცხყოფაში არ გადაიზარდოს. ამ თვალსაზრისით, ლინგენსის ზოგიერთი გამონათქვამი (იხ. §§ 12, 15) დასაშვებობის ზღვარს გადასცდა. მეტიც, განმცხადებლის აზრები საზოგადოებამდე მივიდა ყოველგვარი წინასწარი ცენზურის გარეშე; ყოველივე აქედან გამომდინარე, სასჯელი შეესაბამებოდა მიზნის ლეგიტიმურობას. მეტიც, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კონვენციით დაცული უფლებების, კერძოდ, გამოხატვის თავისუფლებისა

(მუხლი 10) და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების (მუხლი 8) კონფლიქტს. კომისიის მიერ პირველი უფლების ფართო ინტერპრეტაციისას, როგორც მთავრობა აცხადებდა, მეორე უფლების დაცვის აუცილებლობა მხედველობაში არ ყოფილა მიღებული.

38. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ლინგენსის გასაჩივრებული გამონათქვამები უკავშირდებოდა განსაზღვრულ საჯარო ბრალდებას, რომელიც კრეისკიმ ვიეზენტალს წაუყენა (იხ. \$10), და ყოფილი კანცლერის, როგორც პოლიტიკოსის, დამოკიდებულებას ნაციონალური სოციალიზმისა და ნაცისტების მიმართ (იხ. \$14). ამიტომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მე-8 მუხლის ჭრილში მე-10 მუხლისადმი მიმართვის აუცილებლობა.

39. მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის კონტექსტში ზედსართავი სახელი - "აუცილებელი", გულისხმობს "გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას". ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ასეთი საჭიროების არსებობის შეფასების გარკვეული სტანდარტი აქვთ, თუმცა ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთოევროპულ ზედამხედველობასთან, რომელიც მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ისე გადაწყვეტილებებს, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლოს გადაწყვეტილებებსაც (იხ. "სანდი თაიმისის" საქმე, 1979 წლის 26 აპრილი, სერია A. #30, გვ. 36, \$59). აქედან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა "შეზღუდვა" ან "სასჯელი" მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას.

40. საზედამხედველო იურისდიქციის განხორციელებისას, ევროპის სასამართლო ვერ შემოისაზღვრება სადავო სასამართლო გადაწყვეტილებების იზოლირებულად განხილვით; მან უნდა განიხილოს ისინი საქმის მთლიან კონტექსტში, განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებული სტატიებისა და იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომელთა გავლენითაც ისინი დაიწერა (იხ. მუტატის მუტანდის, ჰენდსაიდის საქმე 1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A, #24, გვ. 23, \$50). სასამართლომ უნდა განსაზღვროს, მოცემულ შემთხვევაში იყო თუ არა ჩარევა "დასახული ლეგიტიმური მიზნის ტოლფასი", ხოლო ავსტრიის სასამართლოების მიერ ასეთი ჩარევის გასამართლებლად მოყვანილი მიზეზები - "შესაბამისი და დამაკმაყოფილებელი" (იხ. ზემოხსენებული ბარტოლდის საქმე, სერია A, #90, გვ. 25, \$55).

41. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მოვალეა შეახსენოს, რომ გამოხატვის თავისუფლება, მე-10 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, შეადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს და მისი

განვითარებისა და პიროვნების თვითრეალიზების მთავარ პირობას. მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ის გამოიყენება არა მხოლოდ ისეთი "ინფორმაციისა" და "იდეების" მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობილად მიიღება ან განიხილება როგორც უვნებელი ან როგორც ინდიფერენტიზმის საგანი, არამედ ისეთების მიმართაც, რომლებიც, თავისი არსით, შეურაცხყოფელია, აღშფოთებას იწვევს და ადამიანების სიმშვიდეს არღვევს. ეს არის პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და საღი აზროვნების არსებითი ნიშანი, რომლის გარეშეც არ არსებობს "დემოკრატიული საზოგადოება" (იხ. ზემოხსენებული ჰენდსაიდის საქმე, სერია A, #24, გვ. 23, \$49). ეს პრინციპები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრესასთან დაკავშირებით. მართალია, პრესამ არ უნდა გადააბიჯოს იმ ზღვარს, რასაც "სხვათა რეპუტაციის დაცვა" ჰქვია, მაგრამ მას მაინც ევალება ინფორმაციისა და იდეების გავრცელება პოლიტიკურ ისევე, როგორც საზოგადოების ინტერესების სფეროში შემავალ სხვა საკითხებზე. ასეთი ინფორმაციისა და იდეების გავრცელება მხოლოდ პრესის ამოცანა არაა: საზოგადოებასაც აქვს უფლება მათი მიღებისა (იხ. მუტატის მიტანდის, ზემოხსენებული "სანდი თაიმისის" საქმე, სერია A, #30, გვ. 40, \$65). აქედან გამომდინარე, სასამართლო ვერ დაეთანხმება ვენის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში გამოთქმულ აზრს, რომ პრესის ამოცანაა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, ხოლო მისი გაანალიზების უფლება რჩება მკითხველს (იხ. \$29).

42. მეტიც, პრესის თავისუფლება საზოგადოებას აძლევს საუკეთესო საშუალებას შეიქმნას, ჩამოაყალიბოს და გამოხატოს საკუთარი აზრი პოლიტიკური ლიდერების იდეებსა და პოზიციასთან დაკავშირებით. ზოგადად რომ ვთქვათ, პოლიტიკური დებატების თავისუფლება იმ კონცეფციის ბირთვია, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მთავარ არსს წარმოადგენს და რომელსაც დემოკრატიული საზოგადოების კონცეფცია ეწოდება. მისაღები კრიტიციზმის საზღვრები უფრო ფართოა, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკოსს და არა კერძო პიროვნებას. უკანასკნელისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსი საზოგადოების ყურადღების ცენტრში თავს შეგნებულად აყენებს, მისი სიტყვა და საქმე გარდაუვლად ხდება როგორც ჟურნალისტების, ისე მთლიანად, საზოგადოების დაჟინებული, გამომცდელი მეტვალყურეობის ობიექტი, ამიტომ პოლიტიკოსს შემწყნარებლობის უდიდესი უნარის გამოჩენა მართებს. უდავოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი (მე-2 პარაგრაფი) იცავს თითოეული პიროვნების რეპუტაციას და ეს ვრცელდება პოლიტიკოსებზეც, მაშინაც კი, როცა ისინი არ მოქმედებენ როგორც კერძო

პირები, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი დაცვის კრიტერიუმები უნდა შეფასდეს პოლიტიკურ საკითხებზე ღია დისკუსიის ინტერესებთან კავშირში.

43. განმცხადებელი გაასამართლეს ვენის ჟურნალ “პროფილში” 1975 წლის 14 და 21 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სტატიებში მაშინდელი ფედერალური კანცლერის, ბ-ნ კრეისკის, მისამართით განსაზღვრული გამონათქვამებისათვის (“უღრმესი ოპორტუნიზმი”, “ამორალური”, “უღირსი”, იხ. §§12-19). სტატიები ეხებოდა ავსტრიის საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცეულ პოლიტიკურ საკითხს, რომელმაც ნაციონალური სოციალიზმისა და ქვეყნის მართვაში ყოფილი ნაცისტების მონაწილეობის მიმართ, ზოგადად, ავსტრიელთა და კერძოდ კანცლერის დამოკიდებულების გარშემო გაცხოველებული დისკუსია გამოიწვია. მთლიანობაში სტატიების შინაარსი და ტონი საკმაოდ გაწონასწორებული იყო, თუმცა ზემოხსენებული გამონათქვამების გამოყენებამ კრეისკის რეპუტაციისადმი ზიანის მიყენების შთაბეჭდილება შექმნა. მაგრამ, რამდენადაც საქმე ეხება კრეისკის, როგორც პოლიტიკოსს, გასათვალისწინებელია აღნიშნული სტატიების დაწერის საფუძველი. ისინი 1975 წლის ოქტომბრის საყოველთაო არჩევნებიდან მოკლე ხანში გამოქვეყნდა. მრავალი ავსტრიელი ფიქრობდა, რომ კრეისკის პარტია დაკარგავდა აბსოლუტურ უმრავლესობას ამ არჩევნებში და სახელმწიფოს მართვის უნარის შესანარჩუნებლად იძულებული გახდებოდა პეტერის პარტიასთან კოალიცია შეექმნა. როდესაც არჩევნების შემდეგ ვიეზენტალმა გამოაქვეყნა ცნობები პეტერის ნაცისტური წარსულის შესახებ, კანცლერმა დაიცვა პეტერი და ვიეზენტალის მოქმედებას “მაფიური მეთოდები” უწოდა, რასაც შედეგად მოჰყვა ლინგენსის მწვავე რეაქცია (იხ. §§9,10).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გასაჩივრებული გამონათქვამები მიმართული იყო არჩევნების შემდგომი პოლიტიკური დაპირისპირების საფუძვლისადმი, რომელსაც ფესვები წარსულში ჰქონდა.

როგორც ვენის რეგიონალურმა სასამართლომ 1979 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაში აღნიშნა (იხ. §24), ამ ბრძოლაში ყველამ თავის განკარგულებაში არსებული იარაღი გამოიყენა, რაც სრულიადაც არ არის მძიმე პოლიტიკური ბატალიებისათვის უჩვეულო მოვლენა. კონვენციის გადასახედიდან შეფასებისას არ შეიძლება მხედველობიდან იქნეს გამორჩენილი ის სასჯელი, რომელიც განმცხადებელს დაეკისრა, და შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის მიზეზები.

44. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას ვენის სააპელაციო სასამართლომ ლინგენსს ჯარიმა დააკისრა; მან ასევე მიიღო გადაწყვეტილება პროფილის

შესაბამისი გამოცემების კონფისკაციისა და სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების გამოქვეყნების შესახებ (იხ. §§ 21, 26, 27, 30).

როგორც მთავრობა აღნიშნავდა, გასაჩივრებული სტატიები იმ დროისათვის უკვე ფართოდ იყო გავრცელებული, ასე რომ, თუმცა დაწესებულმა სასჯელმა ავტორს ხელი, ფაქტობრივად, ვერ შეუშალა საკუთარი აზრის გამოხატვაში, ის მაინც უთანაბრდება ერთგვარ ცენზურას, რომელიც ავტორს მომავალში მსგავსი კრიტიციზმის გამოხატვის სურვილს უკარგავს. კომისიის წარმომადგენელმა მართებულად შენიშნა ეს. პოლიტიკური დებატების კონტექსტში ასეთი სასჯელი ჟურნალისტს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობაზე უარს ათქმევინებს. იმავე ნიშნით, ასეთი სანქცია ხელს უშლის პრესას თავისი, როგორც საზოგადოების მომმარაგებლისა და გუშაგის, ფუნქციების შესრულებაში (იხ. მუტატის მუტანდის, ზემოხსენებული ბარტოლდის საქმე, სერია A, # 90, გვ. 26, \$58).

45. ავსტრიის სასამართლოები, პირველ რიგში, შეუდგნენ იმის გარკვევას, იყო თუ არა ლინგენსის გასაჩივრებული გამონათქვამები ნამდვილად დეფამაციური; მათ დაადგინეს, რომ ზოგიერთი გამონათქვამი, კერძოდ "უღრმესი ოპორტუნიზმი", "ამორალური" და "უღირსი", მართლაც ატარებდა ასეთ ხასიათს (იხ. \$21).

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სადავო გამონათქვამები წარმოადგენდა მის მიერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებით გაკეთებულ შეფასებებს (იხ. §§22, 29). ევროპის სასამართლომ, კომისიის მსგავსად, გაიზიარა მისი აზრი. ლინგენსის კრიტიციზმი, ფაქტობრივად, მიმართული იყო კრეისკის, როგორც ფედერალური კანცლერის, პოზიციისადმი. სადავო იყო არა მისი უფლება - გაეგრძელებინა ინფორმაცია, არამედ მისი აზრის თავისუფლება და იდეების გავრცელების უფლება; მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული შეზღუდვები მაინც გამოყენებადი დარჩა.

46. სასამართლოები შემდეგ შეუდგნენ იმის გარკვევას, შეეძლო თუ არა მოპასუხეს თავისი განცხადებების სიმართლის დამტკიცება; ეს შეესაბამებოდა ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 პარაგრაფს (იხ. \$20). მათ არსებითად გააცნობიერეს, რომ არსებობდა კრეისკის ქცევის შეფასების განსხვავებული გზები და შეუძლებელი იყო ლოგიკურად ერთი ინტერპრეტაციის ჭეშმარიტების დამტკიცება სხვებთან მიმართებაში. შედეგად მათ მოპასუხის ქმედება დეფამაციად დააკვალიფიცირეს (იხ. §§ 24, 26, 29).

ევროპის სასამართლოს აზრით, აუცილებელია ერთმანეთისაგან დიდი სიფრთხილით გაიმიჯნოს ფაქტები და შეფასებები. ფაქტების არსებობა

შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს მაშინ, როცა შეფასება არ ექვემდებარება დამტკიცებას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ ფაქტების არსებობა, რომლებზე დაყრდნობითაც ლინგენსმა გააკეთა შეფასება, უდავო იყო. ეს ეხება ასევე მის მიერ კეთილი ნების გამოვლენას (იხ. \$21). ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად, თუ მას განვიხილავთ მე-2 პარაგრაფთან კავშირში, ჟურნალისტი ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას, თუ ამავე მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას ვერ დაამტკიცებს საკუთარი განცხადების სიმართლეს (იხ. \$20). რაც შეეხება შეფასებას, აღნიშნული მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და, ამავე დროს, ეწინააღმდეგება საკუთრივ აზრის თავისუფლების პრინციპს, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლების ძირითად არსს წარმოადგენს. ვენის რეგიონალური სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მტკიცების სავალდებულობა მომდინარეობდა კანონიდან და მისი გამარტივება თუ შემსუბუქება არა სასამართლოს, არამედ კანონმდებლის საქმე იყო (1981 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება. იხ. \$26). ამასთან დაკავშირებით, ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ მის ვალდებულებას არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, ხელისუფლების რომელ შტოს მიუძღვის ბრალი კონვენციის დარღვევაში; აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობასთან (იხ., იტერ ალია, ზიმერმანისა და სტეინერის საქმე, 1983 წლის 13 ივლისი, სერია A, #66, გვ. 13, \$32).

47. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ლინგენსის მიერ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო "აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში . . . სხვათა რეპუტაციის დასაცავად", არ შეესაბამებოდა დასახულ ლეგიტიმურ მიზანს და წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ

1. ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას;
2. ავსტრიის რესპუბლიკა მოვალე იყო განმცხადებლისათვის გადაეხადა 284,538.60 შილინგი, როგორც "სამართლიანი დაკმაყოფილება".